საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. დეკემბრის 31 № 35 ტფილისი

## შინაარსი

**სახელმწიფო წყობილება**

**263** ბაშკიჩეთის რაიონში მუღანლოს, ორუზმანის და ყამიშლოს სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

**სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები**

**264.** 1935 წლის დაზუსტებული სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

**265.** რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხელშეწყობის ფონდებიდან გამომგონებელთა საზოგადოების განკარგულებაში ათპროცენტიანი ანარიცხების გადადების შესახებ.

**მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა**

**266.** საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის იანვრის 1-თვის პირუტყვის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ.

**ვაჭრობა. მომარაგება**

**267.** „საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან ღვინო-სპირტის მრეწველობის პროდუქციისა, მცირე-ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების თვისებისა და აგრეთვე სპირტის გამოხდის, შენახვის და რეალიზაციისათვის ზედამხედველობის გამწევი სახელმწიფო ინსპექციის მოწყობის „თაობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის მე-2[1], 2[2] და 4[1] მუხლების დამატებისა და მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

**ფინანსები**

**268.** „სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხების განაწილების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

**სისხლის სამართალი**

**269.** სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლის შეცვლისა და 107 მუხლის გაუქმების შესახებ.

**270.** სისხლის სამართლის კოდექსისთვის 204[1] მუხლის დამატრების შესახებ.

**სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება**

**271.** „სისხლის საქმეთა ქვემდებარეობის თაობასე“ გამოცემული 1931 წლის ნოემბრის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

**272.** ტეროორისტული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხელისუფლების მომუშავეთა წინააღმდეგ მიმართული ტეროორისტული აქტების საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის წესში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

1548

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო წყობილება

## 263. დადგენილება ც.ა.კ.

**ბაშკიჩეთის რაიონში მუღანლოს, ორუზმანის და ყამიშლოს სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნეს ბაშკიჩეთის რაიონში შემდეგი სასოფლო საბჭოები:

1) მუღანლოს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მუღანლოში, და მიეკუთვნოს მას სოფლები მუღანლო და საათლო, რომლებიც გამოიყოს კოშკათალის სასოფლო საბჭოს სოფლების შემდგენილობიდან;

2) ორუზმანის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ქვემო-ორუზმანში, და მიეკუთვნოს მას სოფლები არუთლო, ბეზაქლო, ზემო-ორუზმანი და ქვემო-ორუზმანი—ამამლოს სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან და სოფელი ყარაქლისი-ბაშკიჩეთის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან;

3) ყამიშლოს სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ყამიშლოში, და მიეკუთვნოს მას სოფლები ლოქ-ჯანდარი და ყამიშლო, რომლებიც გამოიყოს კოშკათალის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრ. საქ. ც. ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. დეკემბრის 11.
ტფილისი.

---

# სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

## 264. დადგენილება ს.კ.ს.

**1935 წლის დაზუსტებული სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.**

1935 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის თავის დროზე შედგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს ყველა უწყებას და ორგანიზაციას, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. წარუდგინონ არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 25-ისა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საკავშირო ორგანოების მიერ მიღებული ლიმიტების თანახმად დაზუსტებული 1935 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, და აგრეთვე 1935 წლის 1-ლი კვარტალის გეგმა.

2. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 1935 წლის ჯუმლობითი სახალხო-სამეურნეო გეგმა და 1935 წლის 1-ლი კვარტალის ჯუმლობითი გეგმა უნდა შეიტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1935 წლის იანვრის 5-ისა.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული 1935 წ. გეგმის ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის ვადად დაინიშნოს 1935 წ. თებერვლის 1-ლი.

4. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და ორგანიზაციას, 1935 წლის გეგმების წარდგენასთან ერთად, წარუდგინოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას აგრეთვე ცნობები ტექნიკური პროექტებით და ხარჯთაღრიცხვით სამშენებლო ობიექტების უზრუნველყოფის შესახებ.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მშენებლობის ის ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ იქნებიან ტექნიკური პროექტებით და ხარჯთაღრიცხვით, არ შეიტანოს 1935 წლის გეგმაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. დეკემბრის 11.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 286 №-ში 1934 წ. დეკემბრის 12.

---

## 265. დადგენილება ს.კ.ს.

**რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხელისშეწყობის ფონდებიდან გამომგონებელთა საზოგადოების განკარგულებაში ათპროცენტიანი ანარიცხების გადადების შესახებ.**

საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისა და გადამეტებით შესრულების სფეროში მიღწევათათვის და აგრეთვე გამოგონებათა, ტექნიკურ გაუმჯობესებათა და სარაციონალიზაციო წინადადებათათვის დაპრემიების ფონდის დებულების მე 6 მუხლის განსავითარებლად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 52 №-ი, მუხ. 338) და „რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხელისშეწყობის ფონდიდან ათპროცენტიანი ანარიცხების გადადების შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების შესაბამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად („ზარია ვოსტოკას“ 1934 წ. 287 №-ი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საწარმოთ და დაწესებულებათ, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით:

1) საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისა და გადამეტებით შესრულების სფეროში მიღწევათათვის და აგრეთვე გამოგონებათა, ტექნიკურ გაუმჯობესებათა და სარაციონალიზაციო წინადადებათათვის დაპრემიების ფონდის დებულების მე-6 მუხლის მეორე ნაწილით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 52 №-ი, მუხ. 338) განსაზღვრული ათპროცენტიანი ანარიცხები გადაიცეს გამომგონებელთა საზოგადოების განკარგულებაში ყოველკვარტალურად, კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის.

ბ) აღნიშნული ანარიცხების ხაზით 1933 და 1934 წლებში არსებული დაჯალიანება გამომგონებელთა საზოგადოების მიმართ ლიკვიდირებულ იქნეს 1935 წ. იანვრის 1-მდე.

საქ სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. დეკემბრის 17

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 292 №-ში 1934 წ. დეკემბრის 20.

---

# მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

## 266. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის იანვრის 1-თვის პირუტყვის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ.**

რათა უზრუნველყოფილ იქნეს მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმა ზუსტი გამოსასვლელი ცნობებით ცალკეული სახის პირუტყვის სულადობის რაოდენობისა, პირუტყვის ხარისხობრივი (ჯიშიანობა და პროდუქტიულობა) შედგენილობისა და აგრეთვე მეცხოველეობის მეურნეობათა მდგომარეობის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილების შესაბამისად „პირუტყვის სრულიად საკავშირო აღწერის შესახებ 1935 წ. იანვრის 1-სათვის“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, 1935 წ. იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, ცხენების, მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ცხვრების, თხების, ღორების, აქლემების, სახედრებისა და ჯორების აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა სოფლად, ქალაქად, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და აგრეთვე საზამთრო საძოვრებზე.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს პირუტყვის რიცხობრივ აღრიცხვასთან ერთად ჩაატაროს აგრეთვე ცხენების, მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ცხვრებისა და ღორების ხარისხობრივი აღრიცხვა ჯიშიანობისა და პროდუქტიულობის ნიშნების მიხედვით და აგრეთვე უზრუნველყოს ისეთი ცხოველების ინდივიდუალური აღწერა, რომელნიც განირჩევიან ჯიშიანობითა და პროდუქტიულობით.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მოახდინოს აღწერის მონაცემთა მასური საკონტროლო შემოწმება, რომლითაც მოიცვას კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების 10%, როგორც სოფლად, ისე ქალაქად და საზამთრო საძოვრებზე.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების მიერ წარმოებული პირუტყვის აღწერის შედეგების საკონტროლო შემოწმება პოლიტიკურად შემოწმებული და ტექნიკურად მომზადებული მომუშავეებით, რომლებსაც მიაწოდოს მიმოსვლის საშუალებანი.

3. რადგანაც ზამთრის პირობებში აღწერის წარმოება მთიან რაიონებში განსაკუთრებით ძნელია, წინადადება მიეცეს საქართლვეოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მოაწყოს პირუტყვის ვადამდე აღწერა ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის და ყაზბეგის რაიონებში და აგრეთვე ფშავ-ხევსურეთსა (დუშეთის რაიონი) და მთა-თუშეთში (თელავის რაიონი), სადაც გაგზავნოს სპეციალური ექსპედიციები არა უგვიანეს 1934 წ. დეკემბრის 10-ისა.

დაევალოს ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, დუშეთისა და თელავის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს გაუწიონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანეოებს ყოველგვარი დახმარება პირუტყვის აღწერის ჩატარებაში აღნიშნული რაიონების ტერიტორიაზე, რისთვისაც მეთვალყურეობა იქონიონ ამ აღწერის წარმატებით და თავის დროზე ჩატარების საქმეზე.

4. რათა მიღებულ იქნეს მეტად ზუსტი და ამომწურავი ცნობები არსებული პირუტყვის შესახებ, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს პარალელურად პირუტყვის აღრიცხვისა სოფლად მოაწყოს პირუტყვის აღწერა ნატურად საზამთრო საძოვრებზე (ჩრდილო კავკასია, შირაქის ველები, ჭალადიდი და სხვ.), სადაც მიავლინოს თავისი რწმუნებულები.

დაევალოს იმ რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს, საიდანაც პირუტყვი იგზავნება საზამთრო საძოვრებზე, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო სამმართველოს მითითებით მიავლინონ საზამთრო საძოვრებზე რაიონის პასუხისმგებელი რწმუნებულები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას მიიღებენ მომთაბარე პირუტყვის აღწერის ორგანიზაციასა და ჩატარებაში, და მოამარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვონ ეს რწმუნებულები აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო სახსრებითა და მასალით (მეურნეობათა სიები, საძოვრები და სხვ.) და აგრეთვე უზრუნველყონ სასოფლო საბჭოების რწმუნებულთა მეშვეობით თვითეული მეურნეობის ინდივიდუალური აღრიცხვა ცალკეული სახის პირუტყვის მიხედვით.

წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაავალოს სასაძოვრო ადმინისტრაციას ადგილებზე მისცეს სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს და მის რწმუნებულებს ყველა საჭირო ცნობა საზამთრო საძოვრებისა და ამ საძოვრებზე პირუტყვის განაწილების შესახებ.

5. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებში და მუშათა მომარაგების განყოფილებათა მსხვილ სამეცხოველო მეურნეობებში აღწერის ჩატარების დროს მოხდეს აღრიცხვა ამ მეურნეობათა უზრუნველყოფისა სამეცხოველეო ნაგებობებითა და დანადგარებით (სასილოსოები, საკვების გადამმუშავებლები, ინკუბატორები და სხვ.), საკვებით საკუთარი საკვები ბაზიდან (საკვები კულტურების ნათესები, სათიბები და საძოვრები) და სხვადასხვა სპეციალობის კადრებით (ზოოტექნიკოსებით, ბეითლებით, მწველავებით, მეღორეებით და სხვ.), და აგრეთვე ჩატარებულ იქნეს შრომის ორგანიზაციის ძირითად მაჩვენებელთა აღრიცხვა (საპრემიო—სანარდო ქირა, ბრიგადები, დენადობა).

6. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, მუშათა მომარაგების განყოფილებათა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სხვა სასოფლო სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, არა უგვიანეს 1935 წ. იანვრის 15-ისა დაამთავრონ წლიური ანგარიშების შედგენა 1934 წ. განმავლობაში ამ ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შესახებ მეცხოველეობის სფეროში იმგვარად, რომ ამ წლიური ანგარიშებიდან შესაძლებელ იქნეს აღწერის პროგრამით გათვალისწინებული ცნობების მიღება (ჯოგის ბრუნვა პროდუქტიულობის მაჩვენებლები, საკვები რაციონები და სხვ.).

7. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს უზრუნველყონ პირუტყვის აღწერის სამუშაოთა ოპერატიული ხელმძღვანელობა თავისი რაიონის ტერიტორიაზე და აგრეთვე საზამთრო საძოვრებზე.

8. დაევალოს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს პირუტყვის აღწერის ჩატარების საქმეში ქალაქების ტერიტორიაზე და უზრუნველყონ ისინი საჭირო სახსრითა და საქალაქო აქტივის კადრების მობილიზაციით.

9. რადგანაც ზოგიერთი რაიონის აპარატი სუსტია, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიავლინოს შეტად სუსტ რაიონებში თავისი წარმომადგენლები ადგილობრივი ორგანოების დასახმარებლად.

10. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, „საქართ-

ველოს ჩაის“, ლიმონ-მანდარინის კულტურათა ტრესტს, „საქართველოს ჩაიმს“, ცეკავშირს და სხვა ორგანიზაციებს, რომელთაც მეცხოველეობის მეურნეობები აქვთ, აღწერის მოსამზადებელ სამუშაოთათვის და მეცხოველეობის ნაწილში წლიური ანგარიშების შედგენის საჭიროებისათვის მიავლინონ რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებში და აგრეთვე კოლმეურნეობებსა და სასაქონლო ფერმებში თავიანთი პასუხისმგებელი მომუშავეები და სპეციალისტები იმ ანგარიშით, რომ ყველა საჭირო სამუშაო ვადაზე დამთავრდეს, და აგრეთვე დაავალონ მათ მოამზადონ ამ მეურნეობებში. მეცხოველეობის მდგომარეობის გაღრმავებული გამოკვლევისათვის საჭირო მასალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

11. წინადადება მიეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზოოტექნიკური ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ადმინისტრაციებს მოახდინონ მობილიზაცია და გადასცენ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს განკარგულებაში უფროსი კურსების სტუდენტთა საჭირო რაოდენობა პირუტყვის აღწერაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც გამომკვლევი პერსონალი და რეგისტრატორები.

12. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს მასწავლებელთა და უფროსი კლასების მოსწავლეთა მონაწილეობა პირუტყვის აღწერაში მთელი აღწერის პერიოდის განმავლობაში.

13. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს უზრუნველყონ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს აღწერის ჩამტარებელი ორგანოები პოლიტიკურად შემოწმებულ და აღწერის ჩატარების საქმეში ტექნიკურად მომზადებულ მომუშავეთა საჭირო რაოდენობით, ამ საქმეში რაიონისა და სასოფლო საბჭოების აპარატის მომუშავეთა (მასწავლებლები, აგროზოოტექნიკური და ვეტერინალური პერსონალი) ჩაბმის საშუალებით.

14. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და აგრეთვე სასოფლო საბჭოებს უზრუნველყონ აღწერაში ჩაბმული მომუშავენი მიმოსვლის საშუალებებითა და სადგომებით.

15. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას შეუფერხებლად დააფინანსოს პირუტყვის აღწერის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებანი ამ საქმისათვის საკავშირო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრის ანგარიშზე.

16. წინადადება მიეცეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესას გაშალოს მასური ახსნა-განმარტებითი კამპანია პირუტყვის აღწერის მნიშვნელობის შესახებ და აგრეთვე სისტემატურად გააშუქოს ხოლმე საკითხი პირუტყვის აღწერის მომზადებისა და მსვლელობის შესახებ.

17. დადგენილ იქნეს, რომ ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან პირუტყვის გადამალვაში, ან და წინააღმდეგობას გაუწევენ აღწერას, მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს, მასცენ ადგილობრივ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს დირექტივა—ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მისცენ პასუხისგებაში, უკეთუ ისინი ამა დადგენილებით დაწესებულ ვადაზე არ წარუდგენენ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს საჭირო ცნობებს პირუტყვის სულადობის შესახებ, ან და წარუდგენენ არასწორ-ცნობებს, თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებისა „არასწორე სააღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების ფორმებისა და წარდგენის ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. №,1 მუხ. 34).

18. კატეგორიულად აიკრძალოს პირუტყვის აღწერის ჩატარების საქმეში ჩაბმულ პირთა მობილიზაცია სხვა სამეურნეო კამპანიაზე აღწერის დამთავრებამდე.

19. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს გამოსცენ, ამა დადგენილების საფუძველზე, სავალდებულო დადგენილებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პირუტყვის აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა განხორციელებას საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დაწესებულ ვადებზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თეთეიშვილი.**

1934 წ. დეკემბრის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 289 №-ში 1934 წ. დეკემბერს 16.

---

## ვაჭრობა. მომარაგება

### 267. დადგენილება ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან ღვინო-სპირტის მრეწველობის პროდუქციისა, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების თვისებისა და აგრეთვე სპირტის გამოხდის, შენახვის და რეალიზაციისათვის ზედამხედველობის გამწევი სახელმწიფო ინსპექციის მომწყობის თაობაზე" გამოცემული დადგენილებისათვის მე-2[1], 2[2] და 4[1] მუხლების დამატებისა და მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1933 წ. აპრილის 23-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან ღვინო-სპირტის მრეწველობის პროდუქციის, მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაემატოს დადგენილებას 4[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„4[1]. ამა დადგენილებაში აღნიშნული სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორების ფუნქციებს იმ ადგილებში, სადაც ეს ინსპექტორები არ არიან, ასრულებენ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოები“.

4. სათაურსა და 1-სა და მე-4 მუხლებში მითითება საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატზე შეიცვალოს მითითებად საქართველოს სსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. სექტემბრის 10.
ტფილისი.

---

# ფინანსები

## 268. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

**„სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხების განაწილების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე დადებული ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხების განაწილების წესის შესახებ“ გამოცემული 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების 1-ლ მუხლს (საქ. სსრ. კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 61; 1934 წ. მე-10 №-ი, მუხ. 97) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამა მუხლით გათვალისწინებული გასამრჯელო არ ეძლევათ იმ ინსპექციების აგენტებს, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს მეთვალყურეობა გაუწიონ სათანადო წესების აღსრულებას, და აგრეთვე იმ პირებს, ვისაც ეს აგენტები ექვემდებარებიან, ხოლო სათანადო თანხები ჩაირიცხება ადგილობრივ სახსარში“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. დეკემბრის 11.
ტფილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლის სამართალი

## 269. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლის შეცვლისა და 107 მუხლის გაუქმების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 106 მუხლი (1933 წ. გამოცემა) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„106. ღვინისა, სპირტის და სპირტიანი სასმელებისა, ლუდისა, პორტერის და ელისა, თამბაქოს ნაკეთობისა, შაქრისა, ჩაისა, პაპიროსის გილზებისა, საპარფიუმერიო და საკოსმეტიკო ნაკეთობისა, საფუარისა და სანთლის წარმოებისა, შენახვისა და გაყიდვისათვის დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს.

პირველად და მეორედ, უკეთუ, ამასთანავე, დარღვევის თანხა არ აღემატება ხუთას მანეთს,—სათანადო საუწყებო ორგანოების დადგენილებით.—

ჯარიმას ას მანეთამდე, უკანონოდ გაკეთებული, შენახული და გაყიდული საგნების და ამ საგნების გასაკეთებლად დამზადებული ნედლეულის კონფისკაციით;

სხვა შემთხვევაში—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, ჯარიმით ორსავე შემთხვევაში ათას მანეთამდე, ან ჯარიმას ათას მანეთამდე, უკანონოდ გაკეთებული, შენახული და გაყიდული საგნებისა და აგრეთვე ნედლეულისა და წარმოების იარაღის კონფისკაციით ყველა შემთხვევაში.

2. 107 მუხლი (1933 წ. გამოცემა) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. დეკემბრის 11.
ტფილისი.

---

## 270. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სისხლის სამართლის კოდექსისათვის 204¹ მუხლის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 204¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„204[1]—განსაზღვრული უწყებისათვის სათანადო წესით დადგენილი ჯარიმის ტარება იმ პირის მიერ, რომელსაც საამისო უფლება არა აქვს, გამოიწვევს

ჯარიმას ას მანეთამდე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**
სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. დეკემბრის 22.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 295 №-ში 1931 წ. დეკემბრის 23.

---

## სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

### 271. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**„სისხლის საქმეთა ქვემდებარეობის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების მე 2 მუხლის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სისხლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახები“ 1931 წ. ნოემბრის 28-ის; დადგენილების მე-2 მუხლიდან (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 24 №-ი, მუხ. 268 1933 წ. მე-10 №-ი, მუხ. 146) ამოიშალოს სიტყვები:

„106 მუხლის 1-ლი ნაწილი“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. დეკემბრის 4.
ტფილისი.

---

### 272. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**ტერორისტული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხელისუფლების მომუშავეთა წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის წესში ცვლილებათა შეტანის შესახებ.**

„მოკავშირე რესპუბლიკების მომქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის დეკემბრის 1-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ც.ა.კ-ის „იზვესტია-ს" 1934 წ. 283 № ი), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების მე-7 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 4, მუხ. 54) დაემატოს მე-2 ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„წინასწარი გამოკვლევა საქმეებზე ტერორისტული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხელისუფლების მომუშავეთა წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების შესახებ უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ათი დღის ვადისა".

II.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საერთო გადასინჯვამდე დაწესდეს, რომ საქმეებზე ტერორისტული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხელისუფლების მომუშავეთა წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების შესახებ:

1) საბრალმდებლო დასკვნა ჩაჰბარდება ბრალდებულთ ერთი დღე-ღამით ადრე საქმის სასამართლოში განხილვამდე;

2) საქმეები მოისმინება მხარეთა დაუსწრებლად;

3) განაჩენთა საკასაციო განსაჩივრება, აგრეთვე თხოვნის შეტანა პატიების შესახებ არ შეიძლება;

4) განაჩენები უმაღლესი სასჯელის შესახებ მოიყვანება სისრულეში დაუყოვნებლივ მათი გამოტანისათანავე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. დეკემბრის 22.
ტფილისი.

**გამოქვეყნებულია** გაზ. „კომუნისტის" 295 №-ში 1934 წ. დეკემბრის 23.

---


**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის**

**მუშათა და გლეხთა მთავრობის**

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

**— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —**

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

**ხელის მოწერის ფასი 1935 წლისათვის**

(თვითეული ტექსტისა)

**ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე** 10 მან. || **ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე** 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებულის

**უფასოდ დაგზავნისათვის 1935 წელს**

| №№ რიგზ | დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი | ცალების რიცხვი |
|---|---|---|
| 1 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს . . . . . | 5 |
| 2 | სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს . | 2 |
| 3 | სასოფლო საბჭოებს . . . . . | 1 |
| 4 | საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს . . . . . | 3 |
| 5 | საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს . . . . | 7 |
| 6 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს . . . . . | 2 |
| 7 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს . . . . . | 3 |
| 8 | საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს. . . . . | 12 |
| 9 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს . . . . . | 5 |
| 10 | სახალხო სასამართლოებს . . . . . | 1 |
| 11 | სარაიონო პროკურორებს . . . . . | 1 |
| 12 | სახალხო გამომძიებლებს . . . . . | 1 |

ფასი 20 კაპ.

**გამომცემელი** საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 69 პ/მ. რედაქტორი ე. **გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 16/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII; ტირაჟი 1.600.

მთავ. რწმუნ. № 8715. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1881